პარასკევი, 1917 წ. ღვინობისთვის 9 (19) № 219

წელიწადი მესამე

პარასკევი, 1917 წ. ღვინობისთვის 9 (19) № 219

ფასი 15 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხაზგლეჯილიანი განცხადება თითოჯერ ზომით: $15 \times 2 = 8$ მანეთი, $20 \times 2 = 10$ მანეთი, $30 \times 2 = 15$ მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის შინაარსი

ცნობებიდან

გერმანელებმა კუნძულ ოეზელის უდიდესი ნაწილი დაიპყრეს და რიგის ყურე ჩაჰკეტეს.—გერმანელთა ნაღმოსნები მოონზუნდში შეჭრას ცდილობენ. ხმელთა-შუა ზღვაში წყალ-ქვეშას მიერ «მედიოს» დაღუპვა.—რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარედ ჩხეიძეს ასახელებენ. დრ. მთავრობის დადგენილებები დროებითი საბჭოსა და დამფუძნებელ კრების შესახებ.—ყირიმის მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილება სეიმის მოწვევისთვის.—პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წევრები უკვე აირჩიეს.—რუსეთ-ფინლიანდიის შეერთებულმა თათბირმა მოქმედება შესწყვიტა.—დრ. მთავრობის წარმომადგენლები პეტროგრადს დაბრუნდნენ. ანარქიული მოძრაობა.

წერილებიდან

მეთაური. ბრძოლის ველზე.
ტ. ტ. რესპუბლიკის საბჭო.
დ. ქ—ძე. ნაციონალიზაციისთვის.

მ. იმხნელი. რევოლუციური გზით.
ქ. მარტვილელი. არტაანის მხარეში.
კორესპონდენცია. მთიულეთიდან და კახეთიდან.

ქუთაისის დარბევა.

ქართული კლუბი

ქართული დრამა

წარმოდგენა № 5.

პარასკევს, 6 ოქტომბერს, ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნიშანი ყოფაქცევაში

4 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა შეუძლია ყველას.

მესამე ზარის შემდეგ დარბაზში აღარ შეუშვებენ.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს, 12 ოქტომ. „ჭირვეული ცოლის მორჯულება" შექსპირისა.

2—790—2

ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა საყურადღებოთ

კვირას, ღვინობისთვის 8-ს დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია

ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა

საერთო კრება

განსახილველია საყურადღებო საკითხები: სატაქტიკო, საორგანიზაციო და მოხსენებანი.

ყველა ამხანაგს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწროს.

გამგეობა.

ქართული კლუბი

ორშაბათს, ღვინობისთვის 9, ჟურ. „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ დარია ახვლედიანის თაოსნობით გაიმართება

დიდი სამუსიკო-სალიტერატურო საცეკვაო გასართობი საღამო

შემდეგი შინაარსით: 1. **სიტყვა.** შალვა დადიანი—რევოლუცია და ხელოვნება. 2. **პოეზია** გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, დ. ახვლედიანისა, ქნარი. 3. ვარლენ ლორთქიფანიძე—პირველად ამ საღამოზე შეასრულებს ოპერა „დალატი"-დან სოლომან ხანის სადღეგრძელოსა და ოთარ ბეგის არიას (თარ. იოსებ იმედაშვილისა); იოს. სალირაშვილი—თარი, გლეხთა გუნდი— ფანდური, ვასო აბაშიძის მონაწილეობით— „ვაი-ვუი" (ახალი კუპლეტები); 4. **ცეკვა**— ნაურული, ლეკური, ევროპიული. საუკეთესო მოცეკვავეს მიეცემა ჯილდო (პრიზი) საგანგებოდ მოწვეულ ჟიურის მიერ. (ჟიურის წევრებად მოიწვევიან— მოქანდაკე მხატვარი და ცეკვის ოსტატი); გასართობი—პტიშვო, ფოსტა და სხვ. ბილეთების ფასი—5 მან.—1 მ-დე. ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 ს.

როიალის დამკვრელი ანდრონიკაშვილის ასული.

გამგე დარია ახვლედიანისა.

სცენის ხელმძღვანელი შალვა დადიანი. 3—793—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგებლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრთ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში გ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე [illegible] ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე [illegible] მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლომბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

ამიერ-კავკასიის ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა

იხსნება 1917 წლის 15 ოქტომბერს

პროგრამა ყრილობისა:

1) მიმდინარე მომენტი (მოხს. ა. ი. ამირაღოვისა).
2) შექმნა ვაჭარ-მრეწველთა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციისა (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
3) მომზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის (მოხს. ე. ე. ხანდანოვისა).
4) დაარსება ბეჭდვითი ორგანოსი (მოხს. მ. ი. ბერბერიანი).
5) ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა: ვაჭრობის მდგომარეობა, მრეწველობისა, სასურსათო საქმე, ტრანსპორტი, საერთაშორისო ვაჭრობა (მოხს. ქ. ვერმიშევისა და მ. ბერბერიანისა).
6) ზოგიერთ სავაჭროების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები (მოხს. ზ. კაჭკაჭოვისა).
7) მზადება დემობილიზაციისთვის (მოხს. გ. მელიქ-კარაკოზოვისა და ა. ხოშიავოვისა).
8) მოხსენება ადგილებიდან.
9) მიმდინარე საკითხები.

ვაჭარ-მრეწველთა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტი, რომელმაც იტვირთა ყრილობის მოწვევა, სთხოვს საგუბერნიო და სამაზრო ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტებს, საბირჟო კომიტეტებს, მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოებებს, ვაჭართა კავშირებს, ხელოსანთა სამმართველოებს და ვაჭარ-მრეწველთა საზოგადო კრებებს, ნუ დაუცდიან განსაკუთრებულ მოწვევას და გამოჰგზავნონ წარმომადგენლები. დელეგატებს შესავალი ბილეთი მიეცემათ ტფილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის ბინაზე (პუშკინის ქ. ადრესი დეპეშისათვის: „Торгово-промышленный".

10—792—1

ექიმის თანაშემწე

ვანო საამაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყ., სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფიანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამქალაქო ნაწილი).

31—748—თ.

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და შარდსაწვეთ (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—33)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

სამკურნალო კაბინეთი

ა. ს.

ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილისით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 8 ამ ოქტომბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია

საგანგებო წევრთა კრება

განსახილველია: 40 წევრის განცხადება, მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.

4—791—2

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო

თბილისის № 24 საწყაოსა და სასწორის შემმოწმებელი

პალატა

(მიხაილოვის პროსპექტი № 117)

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემოწმებულის პალატის ბეჭედი.

ამ ბეჭედს ძალა აქვს 5 წლის განმავლობაში.

ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონებს და სხვა კერძო, საზოგადოებრივ და სახაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, სასწორები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები; კოჭკები წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა, ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება და იწონება.

წარმოდგენილი იქნეს ბეჭდიანი თუ უბეჭდო 1919 წლამდე და ამ წლისაც, ბეჭდების დასასმელად. ვინც ამას არ შეასრულებს ვადის გათავებამდის, რევიზიის დროს აღმოჩნდება ძველი ბეჭდიანი, თუ უბეჭდო, გამოერთმევა ყველა საწყაო, საწონი და საზომი და პასუხისგებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-1175 მუხლის ძალით, საწყაო, საზომი და საწონი სწორე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაესმება და გადასახადიც არ იქნება დაბრუნებული.

ვადები თბილისისთვის 1917 წლის,
ოქტომბერში—1, 2, 3 და 4 ნაწილებში.
ნოემბერში—5, 6, 7 და 8 ნაწილებში.
დეკემბერში—9, 10, 11 და 12 ნაწილებში.

იანვარი 1917 წ. 4—813—2 პალატის გამგე ა. ჟუზგაკოვი.

ე ქ ი მ ი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—27

ე ქ ი მ ი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—3

თბილისი, ღვინობისთვის 6.

ბრძოლის ველზე

ლონდონელი სატელეგრაფო ცნობის მიხედვით გერმანეთის ჯარისა და ფლოტის შეთანხმებულმა მოქმედებამ კუნძული ოეზელი მოაწყვიტა რუსეთის ნაპირებს. ეს გარემოება ალბად რუსის ფლოტს აიძულებს რიგის ყურე საბოლოოდ გაანთავისუფლოს, ხოლო რუსის ჯარის მარჯვენა ფრთას ჩრდილოეთით დაახევინებს.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ოეზელის დაპყრობის მნიშვნელობა. თუ გერმანეთის შტაბმა ზამთრის პირას რუსეთის ფრონტზე ასეთი სახიფათო ოპერაცია დაიწყო, უეჭველია მას უფრო სერიოზული განზრახვა აქვს, ვიდრე პატარა კუნძულისა ან რამდენიმე მეორე ხარისხოვანი ნავთსადგურის დაპყრობაა. მოსალოდნელია, რომ გერმანიის ჯარისა და ფლოტის მოქმედება თანდათან გაძლიერდება და გაფართოვდება.

რუსის მთავრობამ, როგორც ჩანს, განსჭვრიტა კიდეც გერმანიის განზრახვა და პეტროგრადის დაცლას შეუდგა. გადაწყვეტილია, რომ მთავრობის დაწესებულებანი, უწინარეს ყოვლისა სენატი და ქაღალდის ფულის დამამზადებელი ექსპედიცია მოსკოვში იქნება გადატანილი.

მართლაც შესაძლებელია, რომ გერმანელებმა აღარ დაიყოვნონ და ზამთარშივე გაილაშქრონ პეტროგრადისკენ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ საზავო მოლაპარაკება ცოტა არ იყოს შეფერხდა ბოლო დროს. გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა გადაჭრით განაცხადა, რომ იმპერიის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს ელზას ლორენს. საფრანგეთის სამინისტროს თავმჯდომარემ კი ხელ-ახლა გაიმეორა, რომ ელზას-ლორენის დაბრუნება ზავის აუცილებელი პირობაა. ამას გარდა, როგორც ჩანს, მოკავშირეებს იმედი მოეცათ, რომ ახლო მომავალში იაპონიისა და ამერიკის ჯარის გამოყენება შეიძლება რუსეთის ფრონტზე. შეიძლება ამ მიზნით რაიმე შეთანხმებაც მომხდარიყოს რუსეთსა, იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის. გენერალ ალექსეევს სრულიად უსაფუძვლოდ არ გახსენებია უსურის მხარე.

ასეთს პირობებში ადვილი ასახსნელია გერმანიის აჩქარება. პეტროგრადის დაპყრობას განუზომელი პოლიტიკური და ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება. კიდევ უფრო დიდი იქნება მისი მატერიალური შედეგები. ცნობილია, რომ პეტროგრადშია თავმოყრილი თოფ-იარაღისა და სამხედრო მასალის უდიდესი ქარხნები. ამ ქარხნების მოშლა და გადატანა თითქმის შეუძლებელია, მათი დატოვება კი აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება რუსეთისათვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში სასტიკი შეტაკებები მოხდეს ბალტიის ზღვისა და პეტროგრადისკენ მიმავალ გზებზე.

რესპუბლიკის საბჭო

ახალმა დროებით მთავრობამ გამოაქვეყნა დებულება რესპუბლიკის საბჭოისა. რესპუბლიკის საბჭოს დაარსება უთუოდ აღნიშნავს ახალ ეტაპს დღევანდელ რუსეთის პოლიტიკაში და შეიძლება ეს აქტი საბედისწეროდაც გადაიქცეს რუსეთისთვის.

რესპუბლიკის საბჭო არსდება სამოქალაქო ომის წინ, შინაური ცხოვრება რუსეთის უკვე საკმაოდ დაიხვეწა, ბევრი ვიწრო ხვეულები გაიარა რუსეთის რევოლიუციამ, რომელსაც პირველად სათავეში მოექცენ ს.-დ. მენშევიკები და ს.-რევოლიუციონერები, ბევრი იყო კომპრომისები გამოწვეული იმის გამო, რომ კოალიცია შეენახათ, მაგრამ შეუძლებელი იყო რევოლიუციის ამ შინაგანი წინააღმდეგობის მოსპობა და ამგვარი მოქმედება უთუოდ უნდა მოყოლოდა ამ პარტიების თვითმკვლელობა.

და ეს ასეც მოხდა. პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე უკანასკნელი გამოცდა იყო კოალიციის, და ფაქტიურად ეს იდეა დამარცხდა, მართალია იყო შეთანხმება და ამ შეთანხმების ნაყოფია რესპუბლიკის საბჭოც, მაგრამ მოსალოდნელია მალე გამოჩნდეს მთელი მისი უვარგისობა და სამუდამოდ დაასამაროს კოალიცია.

თათბირზე კოალიციის წინააღმდეგ მიდიოდნენ ბოლშევიკები და მოითხოვდნენ ერთიან სოციალისტურ სამინისტროს, მეორე მხრივ კოალიციას გაფთრებით იცავდნენ ერობათა, ქალაქთა თვითმართველობის და კოოპერაციის წარმომადგენლები, ეს უკანასკნელნი საკმაო სიმრავლით იყვნენ წარმოდგენილნი და როცა რესპუბლიკის საბჭო დაარსდა და ცენზიან ელემენტების 120 წარმომადგენელი მიემატა აშკარაა საით გადაიხრება საბჭოს ძალა. კადეტები იმას არ მალავენ და უკვე დღესასწაულობენ გამარჯვებას. ბოლშევიკებიც გრძნობენ, რომ რესპუბლიკის საბჭო ბურჟუაზიის ციტადელად გადაიქცევა და 20 ოქტომბრისთვის ამზადებენ ახალ გამოსვლას. ამ დროისათვის დანიშნულია ყრილობა რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატების საბჭოებისა. საბჭოები უკვე ბოლშევიკების ხელში არის.

ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ექნება, აქ საბოლოოდ უნდა გადაწყდეს საკითხი მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოსი; მთელი ძალღონე ბურჟუაზიის აქამდი მიმართული იყო საბჭოების წინააღმდეგ, უნდოდა მისი განცალკევება და გაუქმება. აქამდი არ იყო რომელიმე სხვა ორგანიზაცია, რომელიც საბჭოებს დაპირდაპირებოდა. დღეს ეს უკვე არის რესპუბლიკის საბჭოს სახით, რომელიც თვითონ დემოკრატიამ შექმნა და თავისი ავტორიტეტით აღჭურვა.

იდეა რესპუბლიკის საბჭოსი, რასაკვირველია, ახალი არ არის, ჯერ კიდევ როცა კოალიციური სამინისტრო არ იყო შექმნილი, მაშინ პარალელურად ირჩეოდა ამ საბჭოს დაარსების საკითხი. მაშინ ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო ამგვარი საბჭოსი, რადგან ეშინოდა, რომ საბჭო შემდგარი იქნებოდა უმეტესად მემარცხენეებით და შეეძლო დამფუძნებელი კრების უფლების დაჩემება. ეს შიში არც დღეს არის მოკლებული საფუძველს, თუ მივიღებთ მხედველობაში რესპუბლიკის საბჭოს კომპეტენციის სირთულეს, დრ. მთავრობის ზედიზედ რყევას, შინაური ცხოვრების გართულებას და უფრო კიდევ სამხედრო ფრონტზე ახალ ხიფათებს, ყოველ შესაძლებლობისათვის გაღებულია კარები.

შეიძლება მალე რესპუბლიკის საბჭო დიდი ბრძოლის ასპარეზი გახდეს და აქედან მიეცეს მთელ რუსეთს ნიშანი სამოქალაქო ომისა.

ტ. ტ.

* * *

ნაციონალიზაციისათვის

ნაციონალიზაციის საჭიროება კამათს არ მოითხოვს. ჯერ კიდევ სატიკი რეჟიმის დროს იბრძოდა საღი გონება განთავისუფლების, სიმახინჯის თავიდან ასაცილებლად, პროგრესისა და კულტურის სასარგებლოდ. დღეს ხომ ამის მტკიცება ზედმეტია, ვინაიდან მის განხორციელებაში ხელს უკვე აღარავინ გვიშლის და ჩვენზე, ჩვენს შემოქმედ ძალაზეა დამოკიდებული, თუ რამდენს უნარს გამოვიჩენთ საკუთარ, დამოუკიდებელ ცხოვრების მოსაწყობად. ამ მხრივ ქართველმა ერმა უკვე თვალსაჩინო ნაბიჯიც გადადგა. ჯერ იყო და ეკლესია გაანთავისუფლა. რაც უნდა ამხედრდნენ ქართველი ერის მოძულენი, რაც უნდა ცილისწამების ქვა და გუნდა გადმოისროლონ, 12 მარტის აქტის ძალით ჩაყრილ საძირკველს და მცხეთის სვეტისცხოველით გაბრწყინებულს პირველ ღვინობისთვის აქტს ვეღარაფერს ვერ დააკლებენ, თუნდა ჯოჯოხეთის ბჭენიც ჩამოანგრიონ!

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი იყო ჯართა განაციონალიზაციება. ამისი ნებართვაც უკვე აღებულია. უეჭველია, მისი რეალიზაციაც მალე მოხდება.

სკოლა იყო და სკოლის საქმეც მოგვარებულია. სამოსწავლო კომისარიატთან არსებულ ქართულ ეროვნულ პედაგოგიურ საბჭოს დაუღალავმა შრომამ და პრესის დაჟინებულმა ბრძოლამ გასტეხა ძველი რეჟიმით დამახინჯებულ მშობლების სიჯიუტე და როგორც იყო შეაგნებინა ბავშვების აღზრდის საჭიროება ეროვნულს ნიადაგზე ასე რომ გზა უკვე გაკვლეულია. ახლა დაგვრჩა ერთი და უმთავრესი ინსტიტუტი, რასაც თითქოს გვერდს უხვევენ, ანდა თითქოს არა ჰსურთ გაიხსენონ მისი ქართულ ნიადაგზე დაყენების აუცილებლობა. მე მოგახსენებთ სამართალზე. ნგრევისა და უკუღმართობის ღრიანცელმაც კი ვერ ჩაახშო რუსეთის ერთა ეროვნულს ნიადაგზე გამოსვლა და სურვილი. ჩვენი ერის ეროვნული მოთხოვნილებანი მინიატურულია ფინლიანდია—უკრაინა—ბელო-რუსების მოთხოვნილებებთან შედარებით. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს უფლება დაუკითხავად სასამართლოც გავაეროვნულოთ. აქ ლაგამს ვერავინ მოსდებს ჩვენს მოქმედებას, თუ კი გვსურს არა თუ სურვილით, არამედ საქმით მისი ცხოვრებაში გატარება. ესეც ადვილი საქმეა თუ გავიხსენებთ აუარებელ მოსამართლე ვექილთა კადრს, რომელსაც ჩვენში ვხედავთ. ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯი მრავალნაირად იქნება სასარგებლო ეროვნული აღორძინებისათვის: ჯერ ერთი, ქართველ ერს აღარ დასჭირდება ნამდვილი ქარხნული განვითარება რუსულ მოხელეობის როლის საკისრულად, მეორე, ჩვენი გლეხობა განთავისუფლდება მუნჯურ მეთოდებით ხელმძღვანელობას და გასაგებ თავის დარბაისლური ენით შეეძლება გასაჭირის ახსნა-გადმოცემა, ან არა და თავის დაცვა, ხოლო ქართველ მშობლებს გავანთავისუფლებთ ზედმეტი პრეტენზიებისგან, შვილი რად გავზარდო ქართველად ქართულს სკოლაში, როდესაც ასპარეზი არ ექნება თვის ცოდნის გამოსაყენებლადაო. ვინ იცის, იქნებ ქართულ ცხოვრებისთვის ისე არა იყოს რა საჭირო, როგორც სამართლის გაქართულება. ნუთუ აქაც ქართველ განვითარებულ მშობლებთან გვაქვს საქმე, რომ ზარი ჩამოვკრათ და ქართველ მოსამართლე-ვექილებს გავაგონოთ საგანგებო კომისარიატის დადგენილებით: ქართველ ერს სჭირია ქართული სამართალი, მიეცით მას!

დ. კ—ძე.

* * *

რევოლუციური გზით

საქართველოს უფლებების აღსადგენად ჩვენს საზოგადოებაში დღემდის ცხადად თუ ფარულად, ორი აზრი იყო. პირველი, დაუყოვნებლივ განხორციელება დღესვე ჩვენი სურვილებისა, რომელსაც დააკანონებდა რუსეთის დამფუძნებელი კრება; მეორე, მოცდა რუსეთის დამფუძნებელ კრებისა, რომელიც სუყველას და ყველა მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა.

პირველი აზრის მიმდევრები, ცხადია, უკრაინელების და ფინლიანდიის ტაქტიკას იზიარებდენ, მაგრამ რაკი მეორე დიდი ნახევარი ჩვენი საზოგადოებისა ამ აზრს არ თანაუგრძნობდა, ამიტომ საქმე ჩვენი ფერხდებოდა და გასაკეთებელ საქმისთვის ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს დღემდე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ პირველნი განახორციელებდენ თავიანთ აზრს, დღეს რევოლუციონური დემოკრატიული ელემენტები მტკიცედ იქნებოდენ დარაზმულნი და ყოველ კონტრ-რევოლუციასაც მედგრად დაუხვდებოდნენ.

რუსეთში მცხოვრები ერები, რომ დღეს ნაციონალურად იყვნენ მოწყობილი, რევოლუცია უფრო უზრუნველ ყოფილი იქნებოდა.

რა იქნებოდა მაგალითად მაშინ, თუ ქალაქებს და ერობების არჩევნებს დამფუძნებელ კრებისთვის ეცადნათ და ახლავე ოთხფორმულიანი არჩევნები არ მოეხდინათ? ის, რომ ქალაქის სამართველოებში და ერობებში დემოკრატიული ელემენტები არ იქნებოდენ და კორნილოვების გამოსვლასაც ამისთანა მედგარ ბრძოლას ვერ გაუწევდენ და არამც თუ ასე ჩქარა, იქნებ სულაც ვერ ჩაექროთ მათი კონტრ-რევოლუციონური გამოსვლა.

ან ბარედამ ნიკოლოზ მეორე ჯერ არ გადაეგდოთ და დამფუძნებელ კრებისთვის ეკითხათ, სურთ თუ არა კვლავ მისი უსაზღვრო ბატონობა?

რაკი ტახტი დაინგრა, რაც შესაძლებელი და გასაკეთებელი იყო, უნდა დაუყოვნებლივ გაკეთებულიყო. ვისაც რა ეკუთვნოდა უნდა მიეღო. უპირველეს ყოვლისა, რუსეთში მცხოვრებ ერებს თავთავიანთი დამფუძნებელი კრებები უნდა მოეწვიათ, სადაც სხვა მრავალ საკითხთა შორის მიწის საკითხსაც განიხილავდენ, რომელიც ყველაზე ძრიელ აინტერესებს ყველა ერის უმრავლესობას—მშრომელ ხალხს. მაშინ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ყველანი მზად წარუდგებოდენ.

ნახევარ წელიწადზე მეტია ახალ ხანაში ვცხოვრობთ და ჯერ კიდევ გარკვეულათ არა გვაქვს ნათქვამი თუ რა სურს ქართველ ერს.

რომ არ იციან ჩვენი მოთხოვნანი, აკი თვით უკიდურესი მემარცხენენიც კი არ იხსენიებენ საქართველოს იქ, სადაც ისინი ფინლიანდიის და უკრაინის უფლებების დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვენ.

ჩვენ მეტად თავაზიანი ხალხი ვართ. მორიდებით ვეკიდებით. ჯერ რუსეთის ტკივილების განკურნებაზე ვფიქრობთ და შემდეგ საკუთარზე.

თავის დროზე ალბათ მიუდგომელი ისტორიკოსი იტყვის, თუ რუსეთმა დაალწია თავი ამ განსაცდელს, რომ დიდი რუსეთი დიდად დავალებულია პატარა საქართველოს შვილებიდან, მაგრამ კიდეც რომ ითქვას ეს სიტყვები, ამით საქართველო მაშინ აღსდგება თუ არ აღსდგა დღეს?

არა, გადამეტებულ ჯენტლმენობას და რაინდობას თავი უნდა დავანებოთ. ჯერ თავო და თავოო. ჩვენი კანონიერი უფლების აღდგენას დღესვე უნდა შევუდგეთ, თუნდაც რევოლუციონური გზით სიარული დაგვჭირდეს.

გვეყო რაც დრო დავკარგეთ. საჭიროა საკუთარ დამფუძნებელ კრების მოწვევის თადარიგს შევუდგეთ, თორემ რუსეთის შემაცქერალნი ვგვიანდებით და ვაი თუ სამუდამოდ დავგვიანდეთ.

მ. იზნელი.

ომი და ზავი

დეპეშები

აღმოსავლეთის ფრონტი.

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. ღვინობ. 4. **ჩრდილოეთისა, დასავლეთისა, სამხრეთისა და რუმინეთის ფრონტებზე** საარტილერიო სროლაა. მზვერავთა შეუჩერებელი მოქმედებაა.

კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ბალტიის ზღვა. წყნარი დარით დიდათ ისარგებლეს გერმანელთა მფრინავებმა, რომელთაც ფართოდ დაიწყეს თარეში განსაკუთრებით კუნძულების მხრით. ჩვენი მფრინავები მათს შესაგებებლად გამოვიდნენ. ჰაერში ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავმა საფონოვმა მტრის თვითმფრინავი ჩამოაგდო. მაინდზუნდზე ცეპელინმა გადიფრინა. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ჩვენი მოდარაჯე გემები მტრის გემებს ებრძოდნენ. მტერი გამარჯვებით წინ მიდის კუნძულ ეზელზე. ხმელეთის გზა, რომელსაც ეზელთან შეუყავდით, მოჭრილი არის, ასე, რომ ეზელზე მყოფ ჯართან ღარავითარი კავშირი აღარა გვაქვს. როგორც იქიდან გამოქცეულები გადმოგვცემენ, 29 ენკენისთვეს მტრის ერთი დრედნოუტი ნაღმს წასწყდომია და აფეთქებულა. აფეთქების შემდეგ დრედნოუტი ნაპირისკენ გამართა. მისი შემდეგი ბედი არავინ იცის.

ბალტიის ზღვაზე

ბანაკი. ღვინობ. 4. გერმანელთა გემები სცდილობენ რიგის ყურეს მხრით მოონზუნდში შეიჭრან, ჩვენი ნაღმოსნები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ. ბრძოლის მთავარი ძარღვი ეხლა აქა სცემს. ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული რიგისა და ფინლიანდიის ყურეების შორის მიმოსვლის ბედი. გერმანეთის დიდი ფლოტი ამ ჟამად კუნძ. ეზელსა და დაგოს შუა ირბენის სრუტის შესავალის წინ მოქმედებს. ჩვენი ფლოტი კი კვლავინდებურად რიგის ყურეშია და ირბენის სრუტიდა ყურეში შესავალს იცავს.

მდგომარეობა ბალტიის ზღვაზე.

ბანაკი. ღვინობისთვის 3. ბალტიის ზღვაზე გერმანელთა ძალები 4-ჯერ აღემატება ჩვენსას. რაც შეეხება ხმელეთზე მოქმედებას აქ ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. გერმანელების მიერ გადმოსხმული დესანტი შედარებით დიდი არ არის. ტაგალახტის ბუხტაში, რომლიდანაც შეიძლება დესანტის გაძლიერება, ჩრდილოეთის ქარები ჰქრის; ჩვენ ჯარებს კი უფრო ადვილად ვავსებთ, ვინაიდან კუნძულ ეზელთან მიმოსვლას ამინდი ხელს არ უშლის. ამით აიხსნება, რომ გერმანელები მოონზუნდით შემოჭრას სცდილობდნენ, რომ ჩვენ მიმოსვლას დამუქრებოდა, ამითვე აიხსნება მედგარი იერიშები კუნძულის აღმოსავლეთის კიდემდე მოსულ გერმანელთა ჯარებისა; მათ სურთ კონტინენტთან მიმოსვლის დამცველ ჩვენი ჯარის გადმოდევნა. ჩვენ დაჟინებით ვაძლიერებთ ჩვენ ძალებს და კონტრ-შეტევისთვის ვემზადებით. ჩვენი ნაღმოსნები მამაცად მოქმედებენ. ჩვენი წყალქვეშები კი ვერას აწყობენ, ვინაიდან მტრის ფლოტს აუარებელი ნაღმოსნები და შეიარაღებული ნავები იცავენ.

ბრძოლა კუნძულ ეზელთან

ბანაკი. ღვინობ. 3. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ კუნძულ ეზელის სამხრეთის ბატარეები საუკეთესოდ მოქმედებენ.

ჰაერში მოქმედება

მოქმედი არმია. ღვინ. 3. ჩვენმა მფრინავებმა სოფ. ხაცკში 3 ყუმბარა ჩამოაგდეს. გერმანელთა მფრინავებმა მოქმედება გააძლიერეს- გერმანელთა 60-ზე მეტი მფრინავი მოქმედებდა დღეს. სადგურ ოდბემტში ჩვენმა მფრინავებმა 40 ყუმბარა ჩამოაგდეს. ტირგუსა და ოკნას ჩრდილოეთით ჩვენმა მფრინავებმა ავსტრიელთა საფრენი „ბრონდერბურგი“ ჩამოაგდეს. 2 მფრინავი დაატყვევეს. გოროდკის მიდამოებში გუშინ 4 მფრინავი გამოჩნდა.

დაძმობილება

მოქმედი არმია. ღვინ. 3. მტერმა რამდენჯერმე სცადა დაძმობილება დაეწყო, მაგრამ სროლით განვდევნეთ.

ამერიკელი ოფიცრები

მოქმედი არმია. ღვინ. 3. დვინის ფრონტზე 9 ამერიკელი ოფიცერი იყო, რომელთაც სანგრები დაათვალიერეს, ერთხან ზარბაზნების სროლას ხელმძღვანელობდნენ და ბოლოს საკორპუსო კომიტეტის სხდომას დაესწრნენ.

რუმინეთის ფრონტზე.

მოქმედი ლაშქარი. ღვინობისთვის 2. ფურჩიკვორანის ახლოს მტერი მდ. სერეტზე გადმოსვლას აპირებდა, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ.

ჰელსინგფორსზე „ცეპელინის“ თავდასხმა

ჰელსინგფორსი. ღვინობისთვის 4. საღამოს 9 საათზე ცნობა მოვიდა, რომ ჰელსინგფორსისაკენ „ცეპელინი“ მოფრინავდა. დაუყოვნებლივ საგანგებო ნიშნით ქალაქის განათება შესწყდა და სიბნელე ჩამოვარდა. 10 საათსა და ნახევრამდე „ცეპელინი“ არ გამოჩენილა.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. ღვინობ. 3. საღამოს ოფიციალი. მდ. ენის ფრონტზე ცხოველი საარტილერიო ცეცხლის განვითარების შემდეგ ხელჩართული იერიში მოიტანეს ჩვენს მოწინავე პოზიციებზე და დაიპყრეს, მაგრამ კონტრიერიშებით მაშინვე გავდევნეთ. ასეთივე ბედი ეწვია გერმანელთა იერიშს აილის სამხრეთით. სხვაგან საკმაოდ ცხოველი სროლაა ზარბაზნებისა.

ინგლისის ბანაკის ცნობა

ლონდონი. ღვ. 3. მონში ლეპრეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მოხდენილ მოულოდნელ თავდასხმის დროს ტყვედ წამოგვიყვანია 54-მდე კაცი, რომელთაგან 2 აფიცერია. დიუბერის ტყის აღმოსავლეთით გუშინ გერმანელთა თავდასხმა მოვიგერიეთ. ორივე მხრის არტილერია ენერგიულად მოქმედებს. გერმანელთა არტილერია მძლავრად მოქმედებდა ნიუპორისა და ლანსის მიდამოებში. ღვინობისთვის 1-ს სადგურ ლადეგემზე და მტრის ბანაკში ერთი ტონა ასაფეთქებელი მასალა ჩამოყარეს. ლანსის აღმოსავლეთით ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 8 აპარატი ჩამოაგდეს, 1 კი აიძულეს ძირს დაშვებულიყო. ინგლისელთა 2 ჰაეროპლანი არ დაბრუნებულა.

2 წყალქვეშას დაღუპვა.

პარიზი. ღვინობისთვის 2. ხმელთა შუა ზღვის დასავლეთის ნაწილში ფრანგებმა გერმანელთა 2 წყალქვეშა ჩაღუპეს.

ჯაშუში მოცეკვავე ქალი

პარიზი. ღვინობ. 2. სიკვდილით დასაჯეს კაფე-შანტანებში მოცეკვავე ქალი მატაგარი, რომელიც გერმანელთა ჯაშუში აღმოჩნდა. ჯაშუშთა ხელმძღვანელთ საფრანგეთის გარედ ხვდებოდა ხოლმე.

გემის დაღუპვა.

პარიზი. ღვინობ. 2. ხმელთა შუა ზღვაზე ენკენისთვის 19-ს დაუღუპავთ გემი „მედიო“, რომელზედაც 550 მგზავრი იყო. 250 მგზავრი უგზოუკვლოდ დაიღუპა.

რუსეთის რესპუბლიკა

დეპეშები

რკინის-გზის სესხი

პეტროგრადი. ღვინობ. 3. დაიწყო ხელის მოწერა რკინის-გზის მე-2 სესხზე. გამოშვებულია 750,000,000 მან. ობლიგაციები.

ბოლშევიკების კონფერენცია

პეტროგრადი. ღვინობ. 3. შესდგა ბოლშევიკების კონფერენცია, რომელზედაც დაადგინეს მოიწვიონ რამდენიმე ყრილობა დამფუძნებელ კრებისათვის მოსამზადებლად. პეტროგრადის გუბერნიიდან ასახელებენ: ლენინს, კამენევს, რასკოლნიკოვს, კრონშტადტიდან—პრაპ. კრილენკოს და სხვ.

მეამბოხეთა მხარის დაჭერა

პეტროგრადი. ღვინ. 3. პეტროგრადის დეპ. საბჭომ გაიგო, რომ ტაშკენტის საბჭოში 2 ბოლშევიკი ყოფილა, 1 ინტერნაციონალისტი, 2 ანარხისტი, დანარჩენნი მემარცხენე ესერები. თავის რეზოლიუციაში პეტროგრადის საბჭო აცხადებს, რომ იგი მზადაა დახმარება აღმოუჩინოს ტაშკენტელ მეამბოხეებს.

* * *

დამფუძნებელი კრება

დრ. მთავრობის დადგენილებანი.

პეტროგრადი. ღვინობისთვის 2. დრ. მთავრობამ დაადგინა: 1) იმ ადგილებში, სადაც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიები ვერ იქნება მზად ღვინობ. 3-სთვის, დამფუძნებელ კრების საარჩევნო შემდგარ კომისიას ნება აქვს დებულების მე-31 მუხლის გამონაკლისის ძალით სიების გამოქვეყნების ვადა ღვ. 10-მდე გააგრძელოს. 2) ზემო აღნიშნულ ადგილებში შესწორებული საარჩევნო სიები უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს დებულების მე-41 მუხლში აღნიშნულ ვადისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მიმდინარე წლის გიორგობისთვის 10-სა. 3) ეს დადგენილებანი ძალაში უნდა შევიდეს ტელეგრაფით.

პეტროგრადი. ღვინობ. 3. დამფუძნებელ კრებისათვის მზადება ოფიციალ დაწესებულებებში, პარტიებში და ორგანიზაციებში კარგად მიდის. ბევრ ქალაქში უკვე შესდგა სათემო, სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიები. შესაძლებელია სიების შედგენა დაბრკოლდეს თავრიდის გუბერნიაში და კავკასიაში. ზოგან ფულის და ქაღალდის ნაკლებობა აფერხებს საქმეს. ვერ მიდის კარგად სიების შედგენის საქმე ერევნის, ბაქოს და განჯის გუბერნიებში. ფიქრობენ, ღვინობისთვის 20-მდე აქ სიები ვერ დამზადდებაო.

პეტროგრადი. ღვინობ. 3. დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ კანდიდატურის წამოყენებაზე თანხმობა შეიძლება ტელეგრაფითაც გადაიცეს. ხელის მოწერა სავალდებულო არ არის. თანხმობის განცხადება შეიძლება გაეგზავნოს სათემო კომისიის გარდა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირებს, რომელთაც საკანდიდატო სიას ხელი მოაწერეს.

* * *

რესპუბლიკის საბჭო

დრ. მთავრობის დადგენილებანი

პეტროგრადი. ღვინობის. 2. დრ. მთავრობამ რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს დაარსების შესახებ დაადგინა: 1) დროებით, დამფუძნებელ კრების დაწყებამდე დაარსდეს რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო. 2) საბჭომ მოქმედება უნდა დაიწყოს 1917 წლის ღვინობისთვის 7-დან. 3) საბჭოს მოქმედება უნდა შესწყდეს 1 კვირით ადრე დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. 4) რესპუბლიკის საბჭოს გახსნის დრ. მთავრობის წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი ს. ნ. სალტიკოვი. 5) ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული, რომ საბჭო შენობით უზრუნველჰყონ. ხოლო დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. ნ. ავინოვმა ყველა დანარჩენი მოსამზადებელი ზომები უნდა მიიღოს საბჭოს გასახსნელად. 6) ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე უნდა გადაეცეს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს ხარჯების დასაფარავად 475,000 მან. 7) საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე ფული გადაეცეს ნ. ნ. ავინოვს.

* * *

ანარქია

უწესოება

ოდესა. ღვინ. 2. ტირასპოლში ღვინის საწყობი ერთიანად გადაიწვა. დარბევა არ ყოფილა, მხოლოდ აღრეული მთვრალი ხალხი დაიარებოდა ქუჩა-ქუჩა. შემთხვევითი სროლის დროს მოკლულია 4, დაჭრილები არ არის. წესიერების დასაცავად იარაღი (არც?) უხმარიათ. დიდძალი სპირტი გაზიდეს მაზრაში.

შანტაჟი და მტაცებლობა

დონის-როსტოვი. ღვინ. 2. საღ. ბაკუნსკაიას დაეცნენ შეიარაღებული მძარცველები, გაიტაცეს 4000 მანეთი, დაიმუქრნენ, კიდევ დავბრუნდებითო და მიიმალნენ. [illegible] ჯარში მომხდარ ამბების გამო მთელი დეპუტატთა საბჭო გადადგა. დანიშნულია ახალი არჩევნები. ქალაქში გაჩნდნენ საერთაშორისო ავანტიურისტები, რომელნიც სიკვდილით ემუქრებიან ადგილობრივ კაპიტალისტებს და ფულსა სთხოვენ.

შავრაზმელების გამოსვლა

ოდესა. ღვინ. 2. უკანასკნელ დღეებში შავრაზმელებმა მცხოვრებთ პროკლამაციებით ქალაქის დასარბევად მოუწოდეს. გუშინდელმა დღემ წყნარად ჩაიარა. სალამოთი წითელმა გვარდიამ ალყა შემოარტყა ერთს შენობას, რომელშიაც, როგორც ამბობენ შავრაზმელები საპოგრომო პროპაგანდას ეწეოდნენ. დამსწრენი ასწერეს, ჩამოართვეს კონტრ-რევოლუციური ლიტერატურა. სხდომა დახურეს.

ტყეების გაჩეხვა

კიევი. ღვინ. 3. სტარო-სენიავის ახლო-მახლო შეიარაღებული ჯარისკაცები და გლეხები ტყეებს ჩეხავენ. ქალაქ ხმელნიკში სათადარიგო პოლკმა ღვინის საწყობი დაარბია და გაანადგურა. სონიცაში დამკვიდრებული ბატალიონის ჯარისკაცები მცხოვრებლებს საქონელსა და სანოვაგეს ძალით ართმევენ.

მღელვარება ჯარში

სარატოვი. ღვინ. 3. ვოლსკში ჯარში მღელვარებამ იჩინა თავი. მიზეზი ცუდი ხარისხის სურსათია.

უწესოება ჯარში

მოქმედი ლაშქარი. ღვინ. 3. მე-7 არმიის კომისარი სურგუჩევი იუწყება, რომ ლიტინის მაზრაში მიღებულ ზომების წყალობით რამდენადმე სიწყნარე ჩამოვარდა. რბევა შესწყდა. ლეტა-ბარსკაიაში თუჯის ქარხანას საიმედო დარაჯები იცავენ. კერძო პირთა და ჯგუფების გამოსვლებს რევოლუციონური რაზმები ადვილად უღებენ ბოლოს.

მიტინგები ეკლესიაში

მინსკი. ღვინ. 3. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს საყდრებში მიტინგები გამართონ. მრევლი აღელვებულია. მოსალოდნელია შეტაკება.

აფეთქება და მტაცებლობა

როსტოვი. ღვინობ. 2. ღამე მილიონერ შაპოშნიკოვის სახლის აფეთქება მოინდომეს. ძალიან დაზიანდა სამხედრო ექიმის სახლი. იმავე დროს მეორე ქუჩაზე სასტუმრო „ასტორია“-დან 50000 მან. გაიტაცეს.

მღელვარება ჩხრეკის გამო

მოქმედი ლაშქარი. ღვინობ. 2. ბენდერში და ტირასპოლში ჩხრეკისა და ფართლეულობის ჩამორთმევის გამო მღელვარება მოხდა. ეხლა სიწყნარე ჩამოვარდა. დამნაშავეთ სამართალში აძლევენ.

* * *

ეროვნული საკითხი

ებრაელთა შუამდგომლობა

პეტროგრადი. ღვინ. 3. ებრაელთა დეპუტაციამ ინახულა მინისტრ თავმჯდომარის მოადგილე კონოვალოვი და სთხოვა მიიღონ ზომები ებრაელთა სისტემატიური დარბევის წინააღმდეგ. ებრაელებმა აგრეთვე სთხოვეს ნება დართონ მათ თავის დასაცავად შედგინონ საგანგებო რაზმები, რომელთა მიზანი იქნება აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა. კონოვალოვი დეპუტაციას დაჰპირდა, რომ დაბრუნდება თუ არა ბანაკიდან კერენსკი, გააცნობს მას დეპუტაციის შუამდგომლობას. ებრაელთა დეპუტაციას იმავე საგანზე მოლაპარაკება ჰქონდა დეპუტატთა საბჭოების ცენტ. აღმ. კომიტეტთან.

პოლონეთის სარეგენტო საბჭო

კოპენჰაგენი. ღვინ. 3. ვოლფის სააგენტო იუწყება: ვარშავის გენერალ გუბერნატორმა ფონ-ბეზელერმა იმპერატორ ვილჰელმისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც კაიზერი ბეზელერს ატყობინებს, რომ ავსტრიის იმპერატორ კარლოსთან შეთანხმებით პოლონეთის სამეფოს სარეგენტო საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ არქიეპისკოპოსი კაკოვსკი, თ-დი ლიუბომირსკი და ოსტროვსკი.

ყირიმის მაჰმადიანთა სეიმი

სიმფეროპოლი. ღვინ. 3. შესდგა ყირიმის მაჰმადიანთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა არ დაუცადონ დამფუძნებელ კრების მოწვევას და ყირიმის მაჰმადიანთა კომიტეტის მიერ დაპყრობილ ბახჩისარაის სახანო სასახლეში ყირიმის მაჰმადიანთა სეიმი გახსნან.

ბელორუსთა ყრილობა

პეტროგრადი. ღვინობ. 3. ბელორუსთა სოციალისტურ გრომადის ცენტრალი კომიტეტი იწვევს გრომადის მე-3 ყრილობას.

ფინლიანდია და რუსეთი

ჰელსინგფორსი. ღვინ. 4. ფინლიანდიის ახალი წესწყობილებისა და რუსეთ-ფინლიანდიის შორის ახალი ურთიერთობის დამყარების პროექტის განსახილველად მოწვეული თათბირი მოქმედებას განაგრძობს. თათბირის რუსი—წევრები ამბობენ, შესაძლებელია სრული შეთანხმება იმ მუხლებშიაც, რომლებიც წინად განხეთქილებას იწვევდაო. ძირითადი კანონების კომისია განიხილავს პროექტებს თათბირის წევრთა მიერ გაკეთებულ შენიშვნებითურთ სენატს გადასცემს გადასამუშავებლად. სენატი შემდეგ გადმოსცემს დრ. მთავრობას, რომელიც შემდეგ სენატს დაუბრუნებს კანონპროექტის სახით სეიმში შეიტანს.

ჰელსინგფორსი. ღვინობისთვის 3. სენატის თაოსნობით შემდგარ ძირითად კანონების კომისიისა და დრ. მთავრობის იურიდიულ თათბირის შეერთებულმა სხდომამ განიხილა რუსეთ-ფინლიანდიის უფლებრივ დამოკიდებულების პროექტი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ფინლიანდიის დამოუკიდებლობა შინა მმართველობაში სრულიად არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. კამათს იწვევს ზოგიერთი შესწორებანი; რუსებს შესაძლებლად ვერ მიაჩნიათ მათი მიღება. დანარჩენ დროს განმავლობაში სხდომა ცდილობდა შეთანხმებისთვის ნიადაგი გამოენახა. საღამოთი რუსეთის იურიდიულ თათბირის წევრები პეტროგრადს გაემგზავრნენ.

ტ. კოსტიუშკოს გარდაცვალების ასი წლის თავი

პეტროგრადი. ღვინობისთვის 2. პოლონელთა სამხედრო ორგანიზაციებმა დღეს ტადეუშ კოსტიუშკოს გარდაცვალების ასის წლის აღსანიშნავად სადღესასწაულო კრება მოაწყეს. კრებას დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ჩვენ დღეს აქ თავი მოვიყარეთ, რომ პოლონელებთან ერთად პატივი ვცეთ იმ რაინდის ხსოვნას, ვინც სამშობლოსა და კაცობრიობის სიყვარულის ცეცხლით იწოდა. ასი წლის წინ, როდესაც საყვარელ სამშობლოდან შორს მყოფ ტადეუშ კოსტიუშკოს თვალები დახუჭა, ყველას ეგონა, რომ მთელ ევროპას მძიმე სამარადოდ მოეხვია რკინის მრისხანება.

საფრანგეთის რევოლუციის ბრწყინვალე იდეების შემდეგ, 20 წლის სისხლის ღვრისა და ტანჯვის შემდეგ თითქმის მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება პოლიტიკურ ფორმულათა მშრალ სქემას დაემორჩილა. ამ ფორმულებს პირველად პოლონეთი შეეწირა. ხსენებულ ფორმულებით პირველად კი თავისი ძალა პრუსიამ იგრძნო, და მის საფრთხე მხოლოდ ეხლა იგრძნო ევროპამ. მაგრამ კოსტიუშკოს გულში ანთებული ცეცხლი არ ჩაქრა. მან თავი დასდო თავის ერისთვის და მადლიერი ერიც უკვე მთელი საუკუნეა რაც მის სიყვარულით იწვის. გავიდა ასი წელი. კვლავ ომი, კვლავ სისხლის ღვრა, შემაძრწუნებელი ტანჯვა, ცრემლები. მაგრამ მათში იშვა და აწ ხორცს ისხამს ის ახალი და დიადი პრინციპი, რომელსაც ყველა ჩვენგანი აღვიარებს. ერთა უფლება—თვითგამორკვევისა—ეს პრინციპი რუსეთის დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა პოლონელთა მოწოდებაში, რომელიც მარტის 17 გამოიცა. აქ კი უნდა განვაცხადო, რომ ეხლა სხვა მოკავშირე სახელმწიფოებიც იზიარებენ მოწოდებაში გამოთქმულ დებულებებს. ყველას სწამს, რომ მტკიცე და სამართლიან ზავის ერთ-ერთ პირობად დამოუკიდებელ და განუყოფელ პოლონეთის აღდგენა ითვლება. მაგრამ დღევანდელი დღე მარტო პოლონელთა ეროვნულ რაინდის დღესასწაულად არ ჩაითვლება. ის დიადი მიზნები, რომელსაც იგი ემსახურებოდა, რომელთა ცეცხლიც ტადეუშის გულს სწვავდა, მას საკაცობრიოო ფასს სდებენ. მისი მუდმივი ძიება სიმართლისა და სოციალური სამართლიანობისა ლეგენდარულ გმირად ჰხდის და აი დღეს ჩვენც პატივს ვცემთ ამ დიდ გმირის ხსოვნას.

უკანასკნელი დეპეშები

წინასწარ-პარლამენტის თავმჯდომარედ, ჩხეიძეს ასახელებენ. ჰფიქრობენ, რომ ბოლშევიკები პირველ სხდომაზე სიკვდილით დასჯის შესახებ აღძრავენ საკითხს, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვას მოითხოვენ და წინადადებას შეიტანენ, რომ დროებით მთავრობას უნდობლობა გამოეცხადოს.

—

მოსკოვის გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელი ცნობებით გერმანელებს აუღიათ ქალაქი არენსბურგი ცეზელის კონცხი.

—

ოდესის ხანაპიროებთან ოსმალეთის და რუსეთის წყალქვეშები ერთი მეორეს შეებრძოლენ.

—

ბოლშევიკების მიმართ „დენი“ სწერს: „ჩვენი ბედი თქვენს ხელშია და ამიტომ ნურას უკაცრავად თუ პასუხს მოვთხოვთ თქვენ შთამომავლობა ჯარის ღვთის ანაბარად მიგდებისა და სამშობლოს აოხრებისათვის. ნუ მალავთ თქვენს პროგრამას. გადმოშალეთ თქვენი გულის ნადები! კმარა დიპლომატობა! გეყოფათ, რაც უსინდისოთ გვატყუებდით! არ გაბედოთ გაჩუმება თქვე ზუბადრუკო ფრაზიორებო, ლამაზი პოზების მოყვარულებო და რევოლუციის ჰუპენო!“

ქრონიკა

თბილისი

◆ ღვინობისთვის 3 ს სალდათთა დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციამ დეპეშა მიიღო, რომ ქუთაისიდან ჯარისკაცთა ეშელონი გამოისტუმრეს ფრონტზე წასასვლელად და სალდათებს თან მოაქვთ ნაძარცვი ნივთებიო. სექციამ გადასწყვიტა, მატარებლის გაჩერება ჯარისკაცთა გასაჩხრეკად. ამ დადგენილების შესრულება მიანდო სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შვიდ წევრს და მათ განკარგულებაში დაინიშნა სამხედრო სასწავლებლიდან 2 როტა და სასახლის ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. ღვინობისთვის 4-ს, დილით მატარებელი გააჩერეს დიდუბეში, რომელსაც იუნკრები გარს შემოერტყნენ. საბჭოს წევრები ვაგონში შევიდნენ და სალდათებს განუცხადეს თავიანთი მისვლის აზრი, ამასთანავე გააფრთხილეს რომ თუ წინააღმდეგობას გაგვიწევთ, იარაღს ვიხმართო. წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. საბჭოს წევრები შეუდგნენ ენერგიულ ჩხრეკას. ჯარისკაცები გაატიტვლეს კიდევაც. ჩხრეკამ მუქთად არ ჩაიარა: აღმოაჩინეს მრავალი სხვა და სხვა ნივთი, აგრეთვე შიგ ვაგონში, ვაგონის სახურავზე და სხვაგან ბევრი ნივთეულობა იპოვეს. 43 სალდათი დაიჭირეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს, დანარჩენები კი ფრონტზე გაისტუმრეს, ისე რომ მატარებელი არც კი გაუჩერებიათ თბილისში, როგორც სჩანს, ბევრი ნაძარცვი ნივთები გაუყიდნიათ, რადგან მათ ბლომად აღმოაჩნდათ ფულები.

◆ **გაფიცვის შეწყვეტა ბაქოში.** გაფიცულთა კონფერენციამ დაადგინა მუშაობა დაიწყოს, რადგანაც ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მაინც დააკმაყოფილეს მუშების ეკონომიური მოთხოვნილებები. უფლებრივი ნორმების შემუშავება დრ. მთავრობას გადაეცა.

◆ **გაფიცვა.** დღეს შუადღის 3 საათიდან ქალაქის აფთიაქებში მოსამსახურეთა პროფესიონალი კავშირი გაფიცვას აცხადებს. მძიმე ავადმყოფთათვის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იმოქმედებს სარაიონო აფთიაქები.

◆ **მომღერალი ვ. ღორთქიფანიძე** ქართულად ამზადებს ოპერა „დალიტი“-დან სულეიმანის საგალობელსა და ოთარ ბეგის არიას, რასაც პირველად შეასრულებს ორშაბათს, ღვინობისთვის 9-ს, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ განზრახულ საღამოზე. თარგმნილია იოსებ იმედაშვილის მიერ.

◆ **სალახების უკმაყოფილება.** ღვინობისთვის 4-ს ქალაქის სასაკლაოს სალახებმა უკმაყოფილება განაცხადეს ზოგიერთ პირობების გამო და მათი შეცვლა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით იმუქრებოდნენ. მოთხოვნილების განხილვა დაინიშნა მომავალ ორშაბათისთვის, მანამდისინ სალახები მუშაობას განაგრძობენ.

◆ **მოუვიდა** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას ღვინობისთვის 4—5-ს. ფქვილი 12 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., შეშა 2 ვაგონი.

◆ **ქურდობა.** რიყის მახლობლად ვინმე მ. სადაგოვის სახლიდან მოიპარეს 6,000 მანეთის ნივთები. ღვინობისთვის 3-ს ვინმე როვენრის ბინიდან (სემენოვის ქუჩა) მოიპარეს 2,800 მან. ფულად, 6.600 მანეთის სხვა და სხვა ნივთები და ფასიანი ქაღალდები რამდენიმე ათასი მანეთისა.

◆ **შრომის განაწილება ქალაქის გამგეობაში.** გამგეობის ახლად არჩეულ წევრს ივ. ჩერქეზიშვილს დაევალა საქალაქო მამულების განყოფილების ხელმძღვანელობა, ი. ბესელიძეს —ტრამვაისა, საელექტრონო სადგურისა, სასაკლაოსი და სხ. და ოჰანჯანოვს— სამშენებლო განყოფილებისა.

◆ **ბაქოს ქართველთა სამხედრო** კავშირის განყოფილება ამით აცხადებს, რომ 8 ოქტომბერს საღამოს 7 საათზედ დანიშნულია საზოგადო კრება: სამხედრო პირთა, ჯარისკაცთა, ოფიცერთა, სამხედრო ექიმთა და მოხელეთა. ვთხოვთ ამხანაგებს და თანამგრძნობთ აუცილებლად დაესწრონ კრებას და ნურც დაიგვიანებენ.

◆ **სათესლე მასალა.** გუბერნიის სასურსათო გამგეობამ დაიკვეთა ჩრდილო კავკასიაში 400 ვაგ. ხორბალი და 85 ვაგ. ქერი სათესლედ. ჯერ-ჯერობით მოსულია მხოლოდ 5 ვაგონი ხორბალი. საკვებ მასალად გომში ნაყიდ 30 ვაგონ ქერიდან გამგეობამ სათესლედ გასცა 7 ვაგონი. სასურსათო გამგეობას მიერ შეკრებილ ცნობების მიხედვით სოფლელები წლეულ დიდძალ მინდვრებს ხნავენ, დაბრკოლება მხოლოდ სათესლე მასალის შოვნაშია. საგუბერნიო სასურსათო გამგეობა ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ სოფლის მეურნეთ ხელი შეუწყოს სათესლე მასალის მიწოდებით. საინტენდანტომაც აღუთქვა გამგეობას დახმარება ამ საქმეში. აღსანიშნავია, რომ თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს დასავლეთ საქართველოდანაც სთხოვენ სათესლე ხორბალს, მაგალითად, გურიიდან და სამეგრელოდან, მაგრამ მათი შუამდგომლობა დაუკმაყოფილებელი რჩება საკმაო მასალის უქონლობის გამო.

◆ **ღონისძიებანი ტყავეულობის დასაზოგად.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ აღარ შეჰკერონ ქალების მაღალყელიანი ფეხსაცმელები; ქალის ფეხსაცმლის ყელი 24 სანტიმეტრზე მაღალი არ უნდა იყვეს.

◆ **სასურსათო ბარათები.** იმ დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთა წევრებს ცალ-ცალკე არ მიუღიათ სასურსათო ბარათები, არამედ ერთი ბარათი აქვსთ, ფეხსაცმელების შესაძენად უნდა წარადგინონ შაქრის ბარათი შესაფერ ბარათების მისაღებად. ამისთვის უნდა მიმართონ ქალაქის სასურსათო გამგეობას. (რტიშჩევის ქუჩაზე).

◆ **სამუსიკო-სალიტერატურო საღამო.** ორშაბათს, ღვინობისთვის 9-ს ახალ კლუბში, „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ დარია ახვლედიანის თაოსნობით გაიმართება დიდი სამუსიკო-სალიტერატურო საცეკვაო საღამო.

◆ **მხერხავების გაფიცვა.** სახერხავ ქარხნების მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს საქმის პატრონებს; 100 პროცენტის მომატება მოითხოვეს. მომრიგებელმა კამერამ განიხილა მოთხოვნილება და გადასწყვიტა 50 პროცენტის მიმატება. ეს გადაწყვეტილება ყველამ შეიწყნარა, გარდა ერთი ქარხნის პატრონისა. ამის გამო ყველა ქარხნების მუშები გაიფიცნენ.

◆ **ქალაქის საბჭოს უწყებები.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გამოსცეს ორ კვირეული ჟურნალი, რომელშიც დაიბეჭდება საბჭოს დადგენილებანი. სარედაქციო კომისიაში შევლენ ფრაქციების წარმომადგენელნი.

◆ **მუშა ცხენები.** სამხედრო უწყება ჰყიდის თბილისში სასოფლო მეურნეობისათვის გამოსადეგ ცხენებს. ჯერ-ჯერობით გასაყიდი ცხენი ბევრი არ არის. ცხენებს მიჰყიდიან მხოლოდ სოფლის წვრილ მეურნეთ. მყიდველმა შესაფერისი მოწმობა უნდა წარადგინოს სასოფლო საზოგადოებისაგან და თავისს რიგს დაუცადოს.

◆ **დირექტორის არჩევა.** თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ გიმნაზიის დირექტორად აირჩია დირექტორადვე ნამყოფი ი. ს. ღულაძე.

◆ **აფთიაქის პატრონთა შუამდგომლობა.** ღვინობისთვის 3-ს აფთიაქის პატრონთა კავშირმა დაადგინა დეპეშით სთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს ნება დართოს წამლებზე ფასების მომატებისა. სანამ მინისტრისაგან პასუხი არ მოვა, აფთიაქების მოსამსახურეთ ახლად მომატებულ ჯამაგირებს არ მისცემენ.

◆ **აკაკის სახელობის საბავშვო** ბაღში, რომელიც ქართულ გიმნაზიასთან დაარსდა, სწავლა ამ დღეებში დაიწყება. ბავშვების მიღება ყოველ დღე შეიძლება დღის 12—1 საათამდე ქართულ გიმნაზიაში.

◆ **ქალაქის სასურსათო გამგეობის** თავმჯდომარე ი. სტოროსელსკი და წევრები ალშვანგი და ვეისი თანამდებობიდან გადადგნენ. მათი ადგილი დაიჭირა გამგეობის ძველმა შემადგენლობამ, მ· რუსიას თავმჯდომარეობით. გამგეობის კრიზისი გამოიწვია ქალაქის მოურავის ნ. ელიავას შენიშვნამ ამ რამდენიმე დღის წინად, როცა სასურსათო გამგეობამ ფქვილი არ მისცა 240 მეთორნეს და ამ განკარგულებით გაჭირვებაში ჩავარდა თბილისი. გამგეობის გადადგომაზე აგრეთვე დიდი გავლენა იქონია საგუბერნიო სასურსათო გამგეობის წევრის კ. ნინიძის განცხადებამ, რომ საგუბერნიო გამგეობამ ჯერ არ დაუმტკიცებია ქალაქის გამგეობის ახალი შემადგენლობა და ვიდრე არ დაამტკიცებს, მანამდისინ ამ უკანასკნელს არ იცნობს კანონიერ ორგანოთ და საქმე ძველ გამგეობასთან აქვს.

◆ **ქართველ მწერალთა ყრილობის** მომწვევი კომისია ათავებს მუშაობას, ყრილობა მოწვეულია 7 ოქტომბერს, განზრახულია კრებაზე უფრო საორგანიზაციო საკითხებს მიექცეს ყურადღება. ყრილობაზე დასასწრები ბარათების მიღება და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კომისიის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილთან.

◆ **მილოცვა.** საქართველოს საპარტიათაშორისო ეროვნულ საბჭოს შემდეგი მილოცვის დეპეშა მოუვიდა ფოთის ქალაქის საბჭოსაგან: „ფოთის ქალაქის საბჭო მიესალმება ახალ დაარსებულ საქართველოს საპარტიათაშორისო ეროვნულ საბჭოს. საჭიროა დაუყონებლივ შევუდგეთ საქართველოს ეროვნულ ყრილობის არჩევნებს. საბჭოს თავმჯდომარე ქიქაია.

◆ **სპარსეთის გასაჭირი.** თეირანიდან იტყობინებიან ვინაიდან სპარსეთი კრიტიკულ მდგომარეობას განიცდის, კაბინეტმა შახს სახელმწიფოს სახსნელად განუსაზღვრელ რწმუნებულების მინიჭება სთხოვა. შახმა უარი განუცხადა, საკითხის გა[illegible] ჯლისოდ არ შეიძლებაო.

◆ **მიწადმოქმედების მი[illegible] მოწოდება.** მომქმედ არმიიდან საარმიო და ჯარის კომიტეტები მიწათმოქმედების სამინისტროს ატყობინებენ, რომ ბევრს ალაგას ჯარის-კაცების ცოლებს ნებას არ აძლევენ პურის მომკაში და თიბვაში დაქირავებული მუშა ხელი მოიხმარონ. ამის გამო მინისტრი მოუწოდებს სადგილმამულო კომიტეტებს, განუმარტონ სოფლებს, რომ მათ უნდა მოიხადონ თავისი წმინდა ვალი, ჯარს დროით პური მიაწოდონ და აგრეთვე ჯარისკაცთა ოჯახების წინაშე ვალდებულნი არიან დაეხმარნენ პირნახულის მოკრებაში.

◆ **დღეს ქართულ კლუბში** დანიშნულია ქართული წარმოდგენა: პიესა შვაერისა მოწაფეთა ცხოვრებიდან „ნიშანი ყოფაქცევაში“. 4 მოქ. დრამა. როლები განაწილებულია საუკეთესო ძალთა შორის.

ქუთაისის დარბევა

ღვინობისთვის 4-ს, დილით, ქუჩაში სალდათები კვლავ გამოჩნდნენ ჯგუფ-ჯგუფად. გამგე კომისიას მიუგზავნეს მოციქული და მოითხოვეს ნებართვა მიტინგის გამართვისა ბაღში. მიტინგზე უნდა გაერჩიათ საკითხი ვაჭრებისათვის საქონლისა და ფულების ჩამორთმევის შესახებ. კომისიისაგან უარი მიიღო მოციქულმა. საღამოს ქუჩებში [illegible] ჯარისკაცთა [illegible] ნა ქუთაისში [illegible] ჯარის [illegible] წვეულ [illegible] მაგრამ იქ [illegible] მოთხოვნილებას [illegible] თანდათან მწვავდება.

ტადეუშ კოსტიუშკო

პოლონელთა საზოგადოებამ ღვინობისთვის 2-ს იუქმა სახელოვან რაინდის, ტადეუშ კოსტიუშკოს გარდაცვალების ასი წლის თავი. კოსტიუშკო დაიბადა 1746 წელს, გარდაიცვალა 1817 წ. კოსტიუშკომ მე-18-ე საუკუნის დამლევს ამერიკის განმათავისუფლებელ ომის დროს დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც გამოჩენილმა სტრატეგმა. შემდეგ თავისი დიდება ტადეუშმა დააგვირგვინა, როგორც უფროს სარდალმა და 1794 წელში პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის აჯანყების მომწყობმა. პოლონელთა სახალხო რაინდის გარდაცვალებიდან ასის წლის აღსანიშნავად თბილისში მყოფმა პოლონელებმა სადღესასწაულო წირვა გადაიხადეს ადგილობრივ კათოლიკეთა ეკლესიაში, სადაც პოლონელთა დროშაც აკურთხეს.

რესპუბლიკის საბჭოს დებულება

(გაგრძელება *)

72. არჩევნები უნდა დაიწყოს დრ. მთავრობის მიერ დანიშნულ დღეს და 3 დღეს გაგრძელდება, პირველ 2 დღეში საუბნო საარჩევნო კომისია ქალაქებში და დაბებში მუშაობას იწყებს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, სოფლებში-კი დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე; მესამე დღეს-კი ქალაქებსა და დაბებში დილის 9-დან და სოფლებში 8-დან შუა დღის 2 საათამდე.

73. საარჩევნო ბარათი თვით ამომრჩეველმა უნდა მისცეს.

74. ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის ერთერთ წევრს თავისი სახელობის მოწმობას უდგენს; წევრი საარჩევნო სიაში ჩანიშნავს, რომ ამომრჩეველი გამოცხადდა, რის შემდეგ უკანასკნელს მიეცემა კონვერტი საარჩევნო ბარათის ჩასადებათ. თუ კომისიას ეჭვი შეეპარა, უფლება აქვს ამომრჩეველს პიროვნების მოწმობა მოსთხოვოს.

75. კონვერტის მიღების შემდეგ ამომრჩეველი დახურულ ოთახში მიდის (მუხ. 66), სადაც კონვერტში საარჩევნო ბარათს სდებს. შემდეგ ბრუნდება უკან და კომისიის თავმჯდომარეს აძლევს კონვერტს, რომელსაც უკანასკნელი მის თვალ წინვე საარჩევნო ყუთში უშვებს.

76. არჩევნების 2 პირველ დღეში ქალაქებსა და დაბებში საღ. 9 საათზე ხოლო სოფლად 8-ზე კომისიის შენობის კარები იხურება, რის შემდეგაც ბარათებს მხოლოდ იმათაგან მიიღებენ, ვინც აღნიშნულ დრომდე მოვა. ბარათების მიღების შეწყვეტის შემდეგ აცხადებს ამის შესახებ და საარჩევნო ყუთების პირს ჰბეჭდავს. მერე დამსწრენი სტოვებენ შენობას, სადაც არჩევნები სწარმოებდა, თავმჯდომარის განკარგულებით მეორე დღემდე იბეჭდება კარები და აყენებენ დარაჯს.

77. არჩევნების მესამე დღეს ბარათების მიღება 2 საათზე სწყდება, შუა დღის 2 საათზე, რის შემდეგაც მხოლოდ ამ ვადამდე მოსულ ამომრჩევლებისგან მიიღებენ ბარათებს. ბარათების მიღების შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს ამას და შენობის კარების გაღებას უბრძანებს.

ამის შემდეგ კომისია ჯერ გაუხსნელ კონვერტებს სთვლის. თუ კონვერტების რაოდენობა გამოცხადებულ ამომრჩეველთა რიცხვს არ ეთანხმება, (მუხ. 74) ამის შესახებ შესაფერი შენიშვნა შეაქვთ ოქმში. შემდეგ კონვერტებს ხსნიან და საარჩევნო ბარათებს სთვლიან.

78. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიის მიერ დამზადებულ ბარათების მაგივრად მიიღება აგრეთვე იმავე შინაარსის სხვა ბარათები. მიიღება აგრეთვე ისეთი ბარათებიც, რომლებზედაც რუსული ტექსტის გვერდით სხვა ენაზე დაწერილიცაა.

79. არ მიიღება: 1) საარჩევნო ბარათები, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მე-56, 57 და 60 მუხ. მოთხოვნილებებს, 2) შეუვსებელი ბარათები, 3) ისეთი ბარათები, სადაც რამე წაშლილია, შესწორებული ან ნიშან დასმულები, აგრეთვე ხელმოწერილი და იმავე შენიშვნებიან კონვერტში ჩადებული, 4) თუ კონვერტში ერთ ცალზე მეტია ჩადებული და შინაარსი მათი სხვა და სხვაა. თუ შინაარსი ერთია, მაშინ ჩაითვლება მხოლოდ ერთი.

80. საკითხი ბარათის მიუღებლობის შესახებ უნდა განიხილოს საუბნო საარჩევნო კომისიამ ხმის უმეტესობით. ხმის თანაბრობის დროს თავმჯდომარეს გადამწყვეტი ხმა აქვს.

81. მიღებული საარჩევნო ბარათები ყოველ საკანდიდატო სიისა ცალკე ითვლება.

82. ოქმი უნდა შესდგეს ყველა იმისა, რაც ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის გახსნიდან და გათავებამდე. ოქმში შეტანილი უნდა იყოს თავმჯდომარის ყველა განკარგულებანი, კომისიის დადგენილებანი და კომისიაში მყოფ ამომრჩეველთა განცხადებანი, მასში უნდა აღინიშნოს აგრეთვე ყოველ სიის სასარგებლოდ შემოტანილ ბარათების რიცხვი და უკანონოდ ცნობილი საარჩევნო ბარათების რაოდენობა და განმარტება იმისა, თუ რად სცნეს უკანონოდ. ოქმს ხელი უნდა მოაწერონ: თავმჯდომარემ, კომისიის წევრებმა და დამსწრეებმა, უკეთუ უკანასკნელნი მოისურვებენ.

83. საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმი დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო ან საქალაქო კომისიას ეგზავნება. ოქმს ცალკე პაკეტებში უნდა გააყოლონ თან: 1) კომისიის მიერ კანონიერად ცნობილი ბარათები, 2) ის ბარათები, რომლებიც კომისიის რომელიმე წევრმა ვერა სცნო კანონიერად, თუმცა ხმის უმეტესობით ჩაითვალა კანონიერად, 3) ის ბარათები, რომლებიც კომისიამ უკანონოდ სცნო, მაგრამ ზოგმა წევრმა ეს არ გაიზიარა და 4) კომისიის მიერ ერთხმად უკანონოდ ცნობილი ბარათები.

84. დამფუძნებელ კრებისათვის შემდგარ საქალაქო თუ სამაზრო კომისია განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა ოქმებს და საბოლოოდ სწყვეტს, თუ რომელი ბარათებია კა-

---

*) იხ. „საქართველო“ № 218.

[illegible] სთვლის ხმებს მთელ საარჩევნო ოლქში. კანდიდატთა თვითეულ სიაზე მიცემული ხმები ცალკე ითვლება. შემდეგ იმ ოლქში დამფუძნებელ კრებისათვის ასარჩევ წევრთა რიცხვი ნაწილდება გამოცხადებულ სიათა შორის, თვითეულ სიაზე მთელ ოლქში მიცემულ ხმების კვალობაზე.

ასეთ განაწილების წესი ნაჩვენებია 89—91 მუხლებში.

88. თუ არჩევნებისათვის დანიშნულ დროზე ერთს თუ რამდენიმე უბანში არჩევნები არ შესდგა და ამასთან არჩევნებში მონაწილეობა მიუღებელთა რიცხვი იმ ოლქის ამომრჩეველთა ერთ მეათედს მაინც შეადგენს—დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია ზომებს ღებულობს მეორე არჩევნების მოსახდენად. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობა მიუღებელთა რიცხვი არ შეადგენს ზემო ხსენებულ მთელ ამომრჩეველთა ერთ მეათედს, და მეორე არჩევნები არ შესდგა—დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საგანგებო კომისიამ უნდა დასთვალოს საარჩევნო ბარათები და ის ოლქები, რომლებშიაც არჩევნები არ მომხდარა სახეში არ მიიღებიან.

89. მთელ ოლქში თვითეულ საკანდიდატო სიის სასარგებლოდ მიცემული ხმები ცალკ-ცალკე უნდა გაჰყონ და ასე ჯერ-ჯერით 1-ზე, 2-ზე, 3-ზე... მიღებულ ნაწევრებიდან უნდა გამოიყონ იმდენი უდიდესი ნაწევარი, რამდენიც დამფუძნებელ კრების წევრი იქნება ასარჩევი ოლქიდან. შემდეგ ეს ნაწევრები ისე უნდა დაიწერონ, რომ პირველი ყველაზე დიდი იყოს და შემდეგი ნაწევრები კი თანდათანობით ერთი მეორეზე მომცრო. ამ შემთხვევაში უკანასკნელი ნაწევარი იქნება საარჩევნო განსხვავება.

დამფუძნებელ კრების ასარჩევ წევრთა რიცხვი, რომელიც თითო სიაზე მო[illegible]ის, განისაზღვრება ასე: სიის სასარგებლოდ მიცემულ ხმების რიცხვი უნდა გაიყოს საარჩევნო განსხვავებაზე.

თუ ას[illegible]ით განაწილების შემდეგ ად[illegible] მოჩნდა, რომ უკანასკნელი ადგილი რამდენიმე [illegible] სიას ერგო, მაშინ უპირატესობა მიე[illegible] იმ სიის კანდიდატს, რომელსაც მეტ[illegible]ი ხმა მიუღია, თუ ხმებიც თანაბრად [illegible]ა მიცემული, მაშინ კენჭი უნდა იყარ[illegible]ს.

90. თუ საარჩ[illegible]ევნო სიაში ჩამოთვლილ კანდიდატ[illegible]ა რიცხვს აღემატება ამ სიის სასარგ[illegible]ებლოდ მიცემულ ხმებით გასულ წევრთა რიცხვი, მაშინ კრების წევრებად ჩაით[illegible]დებიან მხოლოდ სიაში ნახსენები დ[illegible]ა დანარჩენი ადგილები კი თავისუფალ[illegible] დარჩება.

91. თუ საარჩევნო ოლქ[illegible]ში სიები[illegible]ანცხადე[illegible] შეერთება და ამის შესახებ გ[illegible]ხ. 53), ბაც იქნება შეტანილი (მუ[illegible]დ მი[illegible] შეერთებულ სიების სასარგებლ[illegible] ცემულ ხმებს შეაერთებენ, ამის [illegible]ულ ადგილების განაწილება შეერთებ[illegible]ბა სიასა და სხვა სიების შორის ზედ[illegible] მე-89 მუხლში ნაჩვენებ წესით. და შემდეგ შეერთებულ სიათა შორის იმავე წესით უნდა იქნეს განაწი[illegible]ბული ადგილები. თუ მიღებულ ად[illegible]ლების შესავსებად ერთს შეერთებულ სიათაგანს კანდიდატები აკლია, მაშ[illegible] მეორე სიიდან უნდა შეივსოს. თუ 2-ზ[illegible] მეტი სია შეერთებული, მაშინ იმ სიიდან შეივსება, რომელსაც მეტი ხმა ექნება მიღებული.

92. ყოველ საარჩევნო სიაში ჩამოთვლილი კანდიდატები დამფუძნებელ კრების წევრებად იმ რიგით ჩაითვლებიან, რა რიგითაც სიაში არიან ჩამოთვლილნი.

93. თუ დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ კომისიის მოწვევა

ალაგას
სკრილს
დღიდან
დღეში
ლქიდან
ქძნებულ
ნებულმა
აში არ
ოლქიდან
, ექნება

ᲘᲢᲔᲢᲘ

ვის, ქართ-
ეამა დაჰ-
ქართველ
ქნება ქარ-
იცარი არაა
აც ამ ამ-
თა გულში:
ლების კერა
ენა ჩვენი,
ჯგას სხვათა
უძვირფასეს-

სი საუნჯე, ჟამთა [illegible] და უცხოთა ბატონობამ წარჰყვნა, საკმაოდ წარუხოცა მას საკუთარი ბუნების ელფერი. მაშ რა უშველიდა ქართულ გონებრივ სალარის, რა შეავსებდა მას, თუ არა ქართული უნივერსიტეტი?

ქართული უნივერსიტეტი გააჩაღებს მეცნიერებას მშობლიურს ნიადაგზე, ქართული კაზმული და სადა სიტყვაობაც ისევე, როგორც ძველად, მაღლ გაახსივოსნებს ჩვენს ჯერ კიდევ ცოცხალ ერის გონებას და სულს.

ქართველებს აღარ დასჭირდებათ შორეულ უცხოეთში ძიება განათლებისა, მათი სხეული უცხოეთის მარტოობაში აღარ დასჭკნება, უცხო ერისა და ბუნების ზეგავლენით არ ჩამოსდნება.

დიახ, ქართულ უნივერსიტეტშია ხსნა ჩვენის სულიერი განწმენდა-გაფოლადება მომავალი აღორძინებისათვის, ქართული უნივერსიტეტი—აი ის საყვარელი და სულ ახლობელი მიზანი, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს ყოველივე ქართველის მისწრაფებას.

ქართული უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას,—ამას გვავალებს ჩვენ დღევანდელი ვითარება ქართველ ერისა, ამას გვავალებენ ჩვენ სულიერი წინაპარნი აჩრდილები, ამას მოითხოვს უცხოეთში განათლებისათვის განაწამები ქართველი ახალგაზდობა!

და ჩვენც, ახალგაზრდა საქართველო, უზომო აღტაცებით და სიხარულით შევეგებებით მომავალ ქართულ უნივერსიტეტს, ჩვენ ღრმა მოწიწებით მოვიდრეკთ მუხლს მის წმიდა დანიშნულების წინაშე, უხვად დავაფრქვევთ სიხარულის ცრემლებს ქართულ უმაღლეს განათლების კერის საძირკველზე, მაშინ შევსძახებთ დიადის აღტყინებით მთელს ქართველ ერთან ერთად, —რომ სცოცხლობს კიდევ საქართველო. სცოცხლობს ჭეშმარიტად!

გაუმარჯოს ქართულ უმაღლეს სასწავლებელს!

დიდება მის სულის ჩამდგმელთ!

გაუმარჯოს საქართველოს უნივერსიტეტს!

გობრონ ციცქიშვილი.

ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ*)

შემდეგ არტაანისა, იქ ორ ვერსის მოშორებით არის ნასოფლარი ადგილი მინდა-შენი, სადაც დღესაც შეურყევლად სდგას ერთი პატარა ეკლესია თავის სახურავით, მხოლოდ ქვედა ნაწილი მისი ქვებისაგან გაუცარცვიათ. ამის შემდეგ იწყება ს. გურჯი-ბექი, რაც ნიშნავს ქართველ აზნაურს. ს. გურჯი-ბექი 1914 წელს ჩვენს ჯარს ისე დაუნგრევია, რომ გეგონება 500 წლის ნასოფლარი იყოს, ქვა-ქვაზე აღარ დაუტოვებიათ, მასზე მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ზოგი გაიქცნენ და ზოგიც დახოცეს. შემდეგ იწყება მალაკნების პატარა სოფელი, სახელდობრ პატარა სარძევე, სადაც დღესაც მერძეობენ. მხოლოდ სოფლისათვის სახელად ველიკო-კნიაჟესკი დაურქმევიათ. შემდეგ იწყება ს. საბუდარო, საბუდარო ქართული სახელია და ნიშნავს ბუდე ხარების ადგილს. აქ 25 კომლი, ანუ 309 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ამ სოფ[illegible]ლში სულ-მნათ თამარ მეფის [illegible] ნიშნავი წყარო გამოუყვანია მთიდან და ზედ, სადაც წყარო [illegible]ოდის, მშვენიერი ქვის თავი, თავის [illegible] სადინარი დაუდგამს. აქედან [illegible] ქერმანში გადავედი, აქაც 70 კ[illegible]მლი, ანუ 683 სული ქართველი მაჰმადიანები ყოფილან, მაგრამ რუს ჯარს ამოუწყვეტია და დღეს მხოლოდ 25 კომლი, ანუ 193 სულიდა არის. სიტყვა ქერი-მანი ქართულია, ქერმანი, ანუ ქერი-მანდ. აქედან უკან, არტაანისაკენ წამოვედი, აქ პატარა სოფელია პატარა ჭინჭრობი. ჭინჭრობიც ქართულია და ნიშნავს იმ ადგილს, სადაც ჭინჭარი ამოდის. აქ რუსები (უკრაინელები) სცხოვრობენ და სოფლისთვისაც რუსული სახელი დაურქმევიათ „ნესვიატოვკა“, რაც ნიშნავს არა წმინდას, შემდეგ მტკვრის პირად სოფ. დიდი ჭინჭრობია, აქ 42 კომლი, ანუ 337 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქ ნაეკლესიარიც არის. ორი-სამი ვერსის მოშორებით სოფ. ბალდათია. აქ ნახევარი ბერძენი სცხოვრობს და ნახევარიც, რომელიც შეადგენ 53 კომლს, ანუ 398 სულს ქართველ მაჰმადიანს. აქაც არის ეკლესიის ნაშთი. ზემოდ იწყება ს. კოდის წყარო, მართლაც, რომ კოდსა ჰგავს ის ხევი, რომლიდანაც ჩამოდის მშვენიერი ცრემლივით სუფთა, ცელქი წყარო, რომელშიაც პატარ-პატარა კალმახები ბუდობენ. აქაც უკრაინელები სცხოვრობენ, რომლებსაც სოფლისათვის მიხაილოვკა დაურქმევიათ. კოდის წყაროდან მაღლა გორას აჰყევი და ს. სინდისგომში მივედი. სინდის გომიც ქართულია. აქ ბერძნები სცხოვრობენ. აქაც ერთი ეკლესიის ნაშთია სრულიად დანგრეული. აქედან მტკვრის ხეობას გავყევი და ს. ენიქეიში მივედი. ენიქეი, თათრული სახელია „ახალ-სოფელი“. აქ ძველად ნასოფლარი ყოფილა, რომელსაც ქართული სახელი ჰქვია, მაგრამ როცა ქართველი მაჰმადიანები დასახლებულან „ენიქეი“ დაურქმევიათ, ეს სოფელი ზედ ართვინს გადაჰყურებს და საზღვარია მისი არტაანის ოლქიდან. აქაც არის ეკლესიის და ერთი პატარა ციხის ნანგრევები. აქედან ს. ყაზანფარში მივედი, აქ ერთი ეკლესია და მოზრდილი ციხეა, რომელთა კედლები ეხლაც დარჩენილან ნახევრად დანგრეული. აქ თურქმანები სცხოვრობენ. აქედან დიდ ხევიდან ქვეშ ჩამოვედი, სადაც მტკვარი სისწრაფით მიექანება არტაანისკენ, რომელზედაც ცხენით გადავედით და ს. კინძო-თამარის აღმართს მივადექით, სადაც თვით სოფელია გაშენებული. კინძო-თამარი ქართული სიტყვაა. კინძო, ანუ კისერ-მოგრეხილი, მაგრამ ეს მაკვირებს კისერ-მოგრეხილი თამარი ვინ ყოფილა? აქ სოფელში ერთი მოზრდილი ციხე სდგას, იქვე ციხესთან ეკლესიაცაა, რომლების კედლები დღესაც თითქმის შეურყეველნი არიან, როგორც გადმოცემით ამბობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, მეფე თამარი აქ დადიოდა საზაფხულოდაო, ესეც ართვინს გადაჰყურებს. აქ ქურთები ცხოვრობენ. აქედან უკან ს. შადევანში გადმოვედი. შადევანი ქართული სახელია. აქ სამი ეკლესიის ნანგრევია, რომელთა კედლები დღესაც დგანან. აქ 119 კომლი, ანუ 809 ქართველი მაჰმადიანებია. შემდეგ ს. ხასკეიში მივედი. ესეც მტკვრის პირზე მაღალ მთაზეა გაშენებული. აქ ბერძნები ცხოვრობენ. აქვე სამი ეკლესიის ნანგრევებია, ორი პატარა და ერთი დიდისა, რომელთა კედლების ნაშთი ეხლაც კი არის. აქედან ჩამოვედი ქვეშ ტრიალ მინდორზე, სადაც მტკვარი გველივით მიიკლაკნება. მის ცოტა გაშორებით სოფელი ზედა ტარასის ხევია. ტარასის ხევში ორი ეკლესიის ნანგრევია. აქ ყველა ბერძნები სცხოვრობენ. იქვე ახლოს ქვედა ტარასის ხევია, სადაც 64 კომლი, ანუ 607 სული ქართველი მაჰმადიანი სცხოვრობს. აქაც ერთი ეკლესიის ნანგრევია. შემდეგ იწყება სოფ. ბეპერი—აქ. ესეც ქართული სახელია. აქ ბერძნები სცხოვრობენ. აქ სოფელში ერთი პატარა და სოფლის გარედ მაღალს მთაზე ორი პატარა ეკლესიების ნაშთებია. შემდეგ ამისა იწყება ს. ფიჩხის გომი. აქ 36 კომლი, ანუ 356 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქ სოფელში ერთი საშუალო ზომის ეკლესიის ნანგრევი სჩანს. ფიჩხის გომთან ს. თან-ის-გომია, აქ 16 კომლი, ანუ 156 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქაც არის ერთი პატარა ეკლესიის ნანგრევი.

სოფ. კინძო-თამარს ცოტათი მოშორებით სოფ. ზედა ალა-ბალაა. აქ ერთი ეკლესიის ნანგრევია. აქაც 19 კომლი, ანუ 259 სული ქართველი მაჰმადიანია. შემდეგ იწყება სოფ. ქვედა ალა-ბალა. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი, რომლის მხოლოდ კედლების ნაწილი-ღა დარჩენილა. სოფელში 16 კომლი, ანუ 116 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქედან სოფ. ქონდრაულში გადმოვედი. აქაც 12 კომლი, ანუ 95 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. შემდეგ ს. ლორში გადმოვედი. როგორც ქონდრაული, აგრეთვე ლორიც ქართული სახელია. ლორშიაც 23 კომლი, ანუ 299 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. აქედან სოფ. დეგერმანი-ქევში გადმოვედი. დეგერმანი-ქეი თათრული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „წისქვილის სოფელს“, მართლაც აქ წისქვილები დგას. აქაც 49 კომლი, ანუ 595 სული ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ერთი ეკლესიის ნანგრევი აქაც არის. დეგერმანი-ქევიდან ს. კუნძულეთში მივედი. კუნძულეთი ქართული სიტყვაა, წარმოსდგება სიტყვა კუნძულიდან. მართლაც, ადგილი, სადაც კუნძულეთია გაშენებული, ნამდვილ კუნძულსა ჰგავს. სოფელი კუნძულეთი ბევრი მხრივ [illegible] ისტორიაში შესანიშნავი, რომელსაც მე გაკვრით შევეხები: კუნძულეთს, რომელსაც ადგილობრივი ბერების სიტყვით, დიდი როლი უთამაშნია ქართველების ცხოვრებაში, ქართველებს ღვინის მარანი ჰქონიათ, რასაც ამტკიცებს აქ ნახული ქვევრები, აგრეთვე ყველა მის გარშემო მდებარე ნასოფლებში, სახელდობრ: მელი-ყური, კარქალა, სადიმეთი, კანჭოვი, სადევინე და სხვა მრავალი, რომელთა სახელები ვერ მოიგონეს ადგილობრივ მცხოვრებლებმა, ბაღი ყოფილა გაშენებული. დღესაც შეხვდებით აქა-იქ ვაშლისა, ტყემლისა და მრავალ სხვა ხილეულობათა ჩირგვებს. აქვე მიწებია კვლებით დაყოფილი, რომელსაც დღესაც ეტყობა, რომლის ამაღლებული ზედა-პირი, არ ვიცი ქვებისა, თუ ხელოვნურად მისი მოწყობისა გამაგრებულია. კვალი ისეა დაყოფილი, რომ ვაზის ადგილს გვიჩვენებს, ალბად აქ ვენახის ბაღი ყოფილა, უამისოდ ქვევრები აქ რის მაქნისი იქნებოდა? აქვე მაღლობზე ვეებერთელა ქვებისაგან, რომელთა თითეულად სიმძიმე არა ნაკლები 3000 ფუთისა იქნება, აგებულია უკიროთ პატარა ციხე-დარბაზის მსგავსათ, რომლის კედლები ხელუხლებლად დარჩენილა, მხოლოდ ქვის სახურავი ჩამონგრეულა და იქვე ციხეში ჰყრია. იქვე ახლოს სასაფლაოა, რომელზედაც ცხენისა და სხვა პირუტყვთა სახის ქვები დარჩენილა, რომელზედაც ქართული წარწერები და ჯვრები ყოფილა, მაგრამ დროთა-განმავლობას წაუშლია და მის ადგილას კვალი-და დაუტოვებია. აქ გარშემო ადამიანის ბევრი ძვლებია. სასაფლაოზე და მის ახლო-მახლო სამი ეკლესია ყოფილა, რომლის მხოლოდ კირში შედუღებული ქვებიღაა დარჩენილი.

ჭ. მარტვილელი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართველო“ № 218.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ

მთიულეთის სასტიკი ბუნება ნებას არ აძლევს მცხოვრებთ მიწის დამუშავებისას, რომელიც უამისოდაც ისე ძალიან მცირეა, რომ სათქმელადაც არა ჰღირს.

აი, ამ ხევებში, მთების დაბლობ კალთებზეა, შეხიზნული მთიული. თუკი სადმე იპოვა ხვნა-თესვისათვის ცოტა მაინც ხეირიანი ალაგი, შრომას არ ჰზოგავს და ებრძვის თავის ბუნებით მწირს მიწას. მიუხედავად ამისა მთიული ვერასა ჰღებს, რადგან მიწა ძალიან ცოტაა და მასთან ხვნა-თესვისათვის უნიადაგო-უვარგისი. ამისთვისაა, რომ მდგომარეობით იძულებული მთიული სახნავ-სათესის უქონლობის გამო განსაკუთრებით საქონლის მოშენებას მისდევს და ეს დარგი ცხვარი და ძროხა, თავიდან [illegible] მისი მარჩენელი. სურსათს კი მუდამ ძაუგიდან (კავკავიდან) ეზიდებოდა. რაკი საზოგადოდ ჩრდილო-კავკასიაში მოსავალი ყოველთვის უხვი იცის, მთიულიც უზრუნველ-ყოფილი იყო პურ-სიმინდით და ყოველი ოჯახი გამოუნაკლისად ეზიდებოდა საჭიროებისამებრ. ახლა კი მდგომარეობა სულ შეიცვალა, თუ აქამდის, ომის განმავლობაში დიდის გაჭირვებით ცოტა სიმინდის შეძენას მაინც ახერხებდა, დღეს სულ მოესპო საშუალება ოჯახის გამოკვებისა. ჩრდილო კავკასიამ კარები ჩაიკეტა და ადგილობრივმა სასურსათო კომიტეტმაც სასტიკად აკრძალა სურსათის გარედ გატანა. დარჩა მთიული მშიერი და გაჭირვებული და რადგან სიმშილი თავის არსებით ძლიერია, მთიულიც იძულებულია, რათაც და როგორც უნდა დაუჯდეს იშოვნოს საკვები სიმინდი, რომ სიმშილის მსხვერპლი არ შეიქნეს. ბედსა სცდის, მიდის ცხენის ურმით ძაუგში, ჩუმად და მალვით ყიდულობს სიმინდს და ახლა საშიშრო გზით უნდა გამოიპაროს სახლისკენ, რომ არ გაუგონ და არ წაართვან. მაგრამ ვაი ამ გამოპარებას, რომ ის აპარებს სურსათს. შარა გზაზე მეტად ძნელია ურმით შეუმჩნევლად გავლა და მას თითქმის ყველა პირველ სადგურებზე ჰხვდებიან ან ჯარისკაცები ან „კომიტეტის ხალხი“, რომელთაც კარგად იციან საქმის ვითარება და მთიულის მდგომარეობა და ტყავს აძრობენ მას, ართმევენ ქრთამს, რომ ჩუმად „პროპუსკი“ მისცენ ერთგან, მეორეგან და ამ გზით სახლში მოტანილი სიმინდი ერთი ხუთად უჯდება. როგორც მგზავრების სიტყვიდანა სჩანს გზებზე ჯარისკაცებს და „კომიტეტის ხალხს“ მთიულთა ძარცვა ხელობად გადაუქცევიათ. თუ მისცემენ თუმანს ურემში, გაუშვებენ, თუ არა და სიმინდს წაართმევენ, რადგან ნება არ ჰქონდა ყიდვისა და სახლში წაღებისა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და ვისიც ჯერ არს დროზე შეუმდგომლობა აღძრას ძაუგის სასურსათო კომიტეტთან და მთავარ-რწმუნებულთან, რათა მთიულთ ნება მიეცეთ ძაუგიდან სურსათის შემოტანისა, როგორც გამონაკლისს თავის მდგომარეობით, თორემ სიმშილი აუცილებელია. იმ დროს, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში თითო ოროლა თვის სარჩენი მაინც აქვთ, აქ ერთი კვირისაც არ აბადიათ.

ნ.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ს. ველის-ციხე. 21 ენკენისთვეს მოჰკლეს საუფლისწულო მამულში ლინეკით მიმავალი ს. მუკუზნის მცხოვრები ლევან სიხარულიძე. მკვლელები იცნეს მეეტლემ და შემთხვევით იქ მყოფ ხალხმა. ერთი ყოფილიყო ველისციხელი ტაბატაძე, მეორე მუკუზნელი შაიშმელაშვილი. სიხარულიძისთვის ეთხოვათ ფული და იარაღი, როცა სიხარულიძეს უარი ეთქვა, სიკვდილით დაემუქრებოდნენ და სისრულეში მოიყვანეს კიდეც თავისი მუქარა.

სიხარულიძის მოკვლამ მეტად ააღშფოთა ყველანი, რადგან მეტის მეტი მშრომელი, მუყაითი და პატიოსანი კაცი იყო. ორი სოფლის მილიცია და ხალხი რამდენიმე დღეს გაფაციცებით დაეძებდა მკვლელებს, მაგრამ ამაოთ. შეიპყრეს მხოლოდ ერთი მუკუზნელი ბიჭი, გვარად ყვავიაშვილი. ამაზე ეჭვი ჰქონდათ, რომ იმან შეატყობინა მკვლელებს სიხარულიძის საუფლისწულო მამულში გამგზავრება.

24 ენკენისთვეს, კვირას, გავრცელდა ხმა, ტაბატაძე თელავში დაუპატიმრებიათ. იქნებოდა ასე 5—6 საათი ნაშუადღევისა, რომ ასტყდა საშინელი ხმაურობა და ზარის რეკვა. ყველანი კომისარიატის სადგომისკენ მირბოდნენ. ტაბატაძე თელავიდან ჩამოუყვანიათ და გადაეცათ ადგილობრივ კომისარიატისათვის.

ტაბატაძე და წინა დღეებში შეპყრობილი ყვავიაშვილი შეიყვანეს კანცელარიაში. ხალხი ეზოში შეიკრიბა. ყველას არაჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა. მეტი ნაწილი აქ შეკრებილთა ახალი დაბრუნებული იყო სიხარულიძის დასაფლავებიდან, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. თან ისიც მისაღებია სახეში, რომ კახეთში კვირა უქმე დღეს, ნამეტნავად კიდევ [illegible] მაჭრობაში, თითქმის მთელი სოფელი მთვრალია. ადმ. კომიტეტს დიდი სიდინჯე, გამჭრიახობა და ენერგია უნდა გამოეჩინა, რომ თავიდან აეცილებინა დამნაშავეთა დახოცვა. სინამდვილემ სულ სხვა გვაჩვენა ხალხის დამშვიდების ბადლათ, კომისარის თანაშემწე [illegible] ხატინოვი გადმოდგა აივანზე და შემდეგი სიტყვებით მიმართა შეკრებილთ: „რა საჭიროა მკვლელის განთავისუფლება და გასამართლება, თქვენ ხომ იცით, რომ ეს არის მკვლელი, [illegible] და [illegible] მაინც არ დაიძრა, ხატინოვმა უთხრა: „თქვენ კაცები არა ხართ, რასა გეშინიათო“. ხალხს, ისედაც აღელვებულს, მეტი აღარ უნდოდა! მართალია კომისარმა [illegible] ცადა დაემშვიდებინა ხალხი, მაგრამ ხატინოვის აგიტაციის შემდეგ ყურს ვინ უგდებდა!.. რამდენიმე კაცი ხატინოვის მეთაურობით რევოლვერით და თოფებით ხელში შეიჭრა ოთახში, გამოიყვანეს ტაბატაძე, ჩამოიყვანეს დაბლა (კანცელარია მეორე სართულშია მოთავსებული) და მოჰკლეს. შემდეგ გამოიყვანეს ბორკილებში ჩაჭედილი მეორე შეპყრობილი, ასწიეს და აივნიდან დაბლა გადმოაგდეს, თან დაუშინეს რევოლვერები და თოფები. ესროდნენ მილიციონერები, ესროდნენ გარეშენიც. მერე განა აკმარეს დამნაშავეთ ეს სასჯელი? გამოათრიეს ქუჩაში დახოცილთა გვამები და ასე თრევით გაემართნენ ბაზრისკენ. ხალხი ღრიანცელით და სისხლით მთვრალი უკან მისდევდა და სიცილ-ხარხარით. ამ საზარელმა პროცესიამ გაიარა მთელი ბაზარი. გავიდა სოფლის გარეთ ხევზე, დაყარა დახოცილი საწყლები და შემდეგ ჩააქვავა. მთელი სოფელი, დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი აქ იყო. შემდეგ კმაყოფილნი ნელ-ნელა დაიშალა ხალხი.

ადმინისტრაციული კომიტეტს არავითარი ზომა არ მიუღია, პირ-იქით, ყოველივე მოხდა იმათ მეთაურობით და წაქეზებით. ეს პირველი შემთხვევა არ არის შეპყრობილთა ასე გასამართლებისა. ერთი კვირით ადრე, სანამ ეს საზარელი ამბავი მოხდებოდა, ველისციხიდან სიღნაღში გაგზავნათ ორი შეპყრობილი მილიციონერების თანხლებით. არ გაუვლიათ 3—4 ვერსი, რომ მილიციონერებს ეზოში დაეხოცათ ტუსაღები და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ ველისციხეში, თან [illegible] აქვთ ეს ამბავი.

დამსწრე

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

6

ქართ. წმ. და ყოვლად ქებულისა მოც. თომასი.

კათოლ. წმ. ბრუნონისა.

მაჰმად. ჯუმა 3 რ. მუხარამ 1336 წ. ჰეჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 3 რ. ხეშვანისა 5678 წ. ქვეყ. შექ.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙ. ᲒᲖᲘᲡ

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 5,	11.32 დილ.
»	სამგზ.	№ 3,	11.28 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 19,	8.17 დილ.
»		№ 17,	8.19 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 5,	9.51 დილ.
»	საფ.	№ 6,	5.46 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 4-8,	12.15 საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	3.38 დილ.
»	საფ.	№ 4,	7.41 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 20,	7.47 დილ.
»	სამგზ.	№ 18,	9.50 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.26 დილ.
»	ჩქარ.	№ 6,	10.30 საღ.
[illegible]	სამგზ.	№ 3-7,	7.53 დილ.

ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ

[illegible]

[illegible] ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

[illegible]—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობანი. [illegible] 10—12 ს. [illegible]

[illegible]—თვალის ავად. 2—3 საათ. [illegible]

[illegible] 12—1 [illegible]

[illegible]—შინაგან ავად. 1—3 [illegible]

[illegible] 12—1 [illegible]

[illegible] 2—3 საათამდე.

[illegible] 11—12 ს.

[illegible] 10—11 საათამდე.

[illegible] 12—1 საათ.

[illegible] 2—3 საათამდე.

ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

[illegible] 8—5 საათამდე.

[illegible] 10—12 საათამდე.

100—867—79

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“

სტამბა „[illegible]“ [illegible] და გაზეთის შესახვევი № 4.